საქმე №330310121005247636
საქმე №3/7396-21

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

10 თებერვალი, 2022 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ციცინო როხვაძე

მოსარჩელეები - ააიპ მწვანე ალტერნატივა, თენგიზ ჯგუშია

მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

შუამდგომლობა - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

2021 წლის 26 ნოემბერს, ააიპ მწვანე ალტერნატივამ და თენგიზ ჯგუშიამ სარჩელით მომართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 01 ოქტომბრის ბრძანება N2-1409 ,,ქ.ზუგდიდში, კოლხეთი ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

ამავე სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა შეჩერდეს საქართველოს გარემოს

დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 01 ოქტომბრის ბრძანება N2-1409 მოქმედების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე მხარეს სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი. კერძოდ, მოსარჩელეს დაევალა წარმოედგინა სარჩელზე თანდართული მტკიცებულებები მატერიალური სახით.

2022 წლის 07 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მომართა მოსარჩელე მხარემ და წარმოადგინა სასამართლო განჩინების საფუძველზე დავალებული დოკუმენტაცია.

ააიპ მწვანე ალტერნატივას და თენგიზ ჯგუშიას სარჩელი საქმის განმხილველ მოსამართლეს გადაეცა 2022 წლის 08 თებერვალს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 თებერვლის განჩინებით ააიპ მწვანე ალტერნატივას და თენგიზ ჯგუშიას სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და დასაშვებად ცნობილი.

სარჩელში წარმოდგენილი შუამდგომლობით მოსარჩელე განმარტავს, რომ გასაჩივრებული აქტი არ ექცევა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.2 მუხლით განსაზღვრულ ჩამონათვალში, ამავე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სარჩელის წარმოებაში მიღებით, მისი მოქმედება ჩერდება ავტომატურად. ანუ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონმდებელი სასამართლოს არ ავალდებულებს ფაქტობრივ გარემოებებზე დაფუძნებით დაასაბუთოს სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მიზანშეწონილობა. მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე სარჩელის აღძვრისას, რასაც ადგილი აქვს განსახილველ შემთხვევაში, ამ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მხოლოდ კანონისმიერი საფუძვლით ხდება სასამართლოს მიერ სადაო აქტის მოქმედების შეჩერება.

მოსარჩელე მხარე ასევე მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობას წარმოადგენს ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით. კერძოდ, სარჩელის სამართლებრივ საფუძვლებში წარმოდგენილი საფუძვლიანი და

დასაბუთებული მსჯელობებით, რომლებიც დამტკიცებულია სარჩელზე თანდართული მტკიცებულებებით და რომლებითაც ცალსახად არის დადგენილი, რომ განსახილველ შემთხვევაში დადასტურებულად არსებობს დასაბუთებული ეჭვი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 01 ოქტომბრის N2-1409 ბრძანების - კანონიერების შესახებ, რაც სასკ-ის 29.3 მუხლით განსაზღვრული შეჩერების წინაპირობაა.

სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მასალების და შუამდგომლობის განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამავე ნორმის მეორე ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ავტომატურად არ ჩერდება და აქტის შეჩერება ხდება მხარის მოთხოვნით და მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული განჩინების საფუძველზე. კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოქმედება არ შეჩერდება, თუ ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან; ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას; გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს; დ)ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა; ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტრესს; ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მხარის თხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 01 ოქტომბრის N2-1409 ბრძანების მიხედვით: გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. ზუგდიდში, შპს „კოლხეთი ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე; ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცა განუსაზღვრელი ვადით;

სასამართლო განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.2 მუხლით განსაზღვრული ის გარემოებები, როდესაც სარჩელის წარმოებაში მიღებასთან ერთად არ ჩერდება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

სასამართლო მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში თუკი სახეზე არის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება სარჩელის წარმოებაში მიღებით, ავტომატურ რეჟიმში არ ხდება, თუმცა ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა.

სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განეკუთვნება სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ისეთი ადმინისტრაციული აქტების წრეს, რომელთა მოქმედებაც არ ჩერდება მათი კანონიერების შემოწმების მიზნით აღძრული სარჩელის წარმოებაში მიღებისთანავე. სადავო აქტის შინაარსიდან გამომდინარე იგი არის მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის ,,ე” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტრესს). ამდენად, სადავო აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ საკითხის გადაწყვეტა

საჭიროებს სასამართლოს წინაშე მოტივირებული და დასაბუთებული შუამდგომლობის აღძვრას.

სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელე არ მიუთითებს რაიმე ისეთ ზიანზე რაც შესაძლოა დადგეს შესაჩერებელი ბრძანების მოქმედებით მის მიმართ. ასევე, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც ზიანის მიყენების ფაქტს დაადასტურებდა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის ვალდებულებაა დაადასტუროს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეუჩერებლობით გამოწვეული ზიანი, რაც წარმოდგენილ შუამდგომლობაში და ასევე, სარჩელში დასაბუთებული არ არის. ამასთან, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სადავო აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან წარმოადგენს საქმის არსებითად განხილვის საგანს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის შუამდგომლობა სადავო აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე დაუსაბუთებელია და მხარეს უარი უნდა ეთქვას მის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას შუამდგომლობა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 01 ოქტომბრის ბრძანება N2-1409 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ.თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა), განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარებიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მეშვეობით.

მოსამართლე **ციცინო რობვაძე**